



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

კონტაქტი:

ტელ: 2996377e-mail: culturegovge@gmail.com

მისამართი: სანაპიროს №4, თბილისი

<http://www.culture.gov.ge>

<http://www.facebook.com/culturegovge>

<http://www.youtube.com/user/culturegovge>

<http://twitter.com/#!/CULTUREgovge>

<http://www.flickr.com/photos/culturegovge/>

http://www.myvideo.ge/?user_id=855045

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 2014 წელს სულ შემოსულია 154 განცხადება, მათ შორის:

1. საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 145 შემთხვევაში;
2. ერთ შემთხვევაში განმცხადებელს განუცხადდა უარი პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მოთხოვნის გამო, განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, შეიცავდა სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს და სახეზე არ იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მათი გაცემის არცერთი საფუძველი. გადაწყვეტილება უარის შესახებ მიიღო საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელმა პირმა გიორგი მიჩიტაშვილმა.
3. ოთხ შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხი მომზადების პროცესშია.
4. 2014 წლის განმავლობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა 4 შემთხვევაზე. საჩივარი ეხებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო პროცესი და შესაბამისად ამ ეტაპზე არ დამდგარა პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხი.